მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 იანვრის №20 ბრძანებით შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის შესწავლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საჩივარს, აკადემიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით 2018 წლის 11 იანვარს დამატებით გამოითხოვა რიგი დოკუმენტები (აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ (ND 2-O04) სენატის გადაწყვეტილება; სენატის 2017 წლის 24 მაისის #5/2 გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც საუბარი იყო საკონკურსო კომისიის 2017 წლის 27 ივნისის #1 ოქმში; ინფორმაცია იმის შესახებ განხორციელდა თუ არა ცვლილება რექტორის 2017 წლის 2 მაისის #1-57 ბრძანებაში და ამ ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია სენატის 2017 წლის 28 აპრილის #4/3 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელება (ასოცირებული პროფესორის ვაკანტური ადგილების გაზრდა 4-დან 6-მდე); დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ რა რეაგირება განხორციელდა სტუდენტთა 2016 წლის 8 დეკემბრის საჩივარზე; ანა თენიეშვილის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ანკეტა/ბიოგრაფია და ა.შ.); იმ 6 პირის საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია (ანკეტა/ბიოგრაფია და ა.შ.), რომლებმაც გაიმარჯვეს კონკურსში და დაიკავეს აკადემიური თანამდებობები; კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმები; საკონკურსო კომისიის წევრების პირადი საქმეები. ასევე, ინფორმაცია მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ). გამოთხოვილი დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გამოეგზავნა 2018 წლის 29 და 31 იანვარს.

<u>ექსპერტების მიერ მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის შეფასების დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:</u>

1. აკადემიამ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი გამოაცხადა, როგორც რექტორის ბრძანებით, ასევე სენატის გადაწყვეტილებით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტები სხვადასხვა დროს არის გამოცემული, კერძოდ, სენატის გადაწყვეტილება გამოცემულია 2017 წლის 28 აპრილს, ხოლო რექტორის ბრძანება 2017 წლის 2 მაისს. როგორც ბრძანებით, ასევე გადაწყვეტილებით უცხო ენათა აკადემიურ დეპარტამენტში გამოცხადდა 5 (4 ასოცირებული პროფესორი, 1 პროფესორი) ვაკანტური ადგილი, ხოლო განცხადებების მიღების ვადა განისაზღვრა 1 ივნისიდან. რაც შეეხება აკადემიის მარეგულირებელ დოკუმენტს, კერძოდ, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესს, წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კონკურსს აცხადებს რექტორი. ანალოგიური რეგულაციაა გათვალისწინებული აკადემიის წესდების მე-7 მუხლის მე-

3 პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტითაც. ამდენად, კონკურსის გამოცხადებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს რექტორი.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ,,კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე". აკადემიის წესდების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ,,კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.". ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიის რექტორის 2017 წლის 2 მაისის 1-57 ბრძანებით დარღვეულია განცხადებების მიღების ერთთვიანი ვადა.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2017 წლის 31 მაისს კონკურსანტთა მიერ განცხადებების მიღებამდე 1 დღით ადრე განხორციელდა ცვლილება რექტორის 2017 წლის 2 მაისის 1-57 ბრძანებაში და ვაკანტური ადგილების რაოდენობა გაიზარდა რვამდე (1 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი), 2017 წლის 24 მაისს ანალოგიური ცვლილება განხორციელდა სენატის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებაშიც. როგორც საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის 11 მაისის სხდომის ოქმიდან ირკვევა აღნიშნული ცვლილება გამოწვეული იყო ამა თუ იმ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობით. აღნიშნულმა ცვლილებამ შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კონკურსის გამჭვირვალობის პრინციპი.

რაც შეეხება კონკურსის გამოცხადების საკითხს ორი განსხვავებული სამართლებრივი აქტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების" 2.1. ქვესტანდარტის შესაბამისად ,,უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და გამიჯნული, სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად უნდა ახორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს." შესაბამისად მიზანშეწონილია რექტორისა და სენატის ფუნქციები მკვეთრად იქნეს გამიჯნული, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს აცილებული ფუნქციათა დუბლირება.

2. რაც შეეხება საკონკურსო კომისიის წევრთა შერჩევის საკითხს, რომელთა კომპეტენციასაც საჩივრის ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საკონკუროს კომისიის წევრების შერჩევა განხორციელდა აკადემიაში მოქმედი ,,აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესის" შესაბამისად. წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ,,აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით ფაკულტეტებზე იქმნება საკონკურსო კომისიები, რომელთა შემადგენლობა ფორმირდება შემდეგნაირად: ა) ფაკულტეტების დეკანები აკადემიის რექტორს საკონკურსო კომისიის შემადგენლობისათვის წარუდგენენ არანაკლებ 9 კანდიდატურის რეკომენდაციას. ბ) განხილვის შემდეგ რექტორი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიების შემადგენლობას 5 ან 7 კაცის ოდენობით; გ) დეკანი მოხსენებითი ბარათით წარუდგენს რექტორს საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატების ავტობიოგრაფიასა და

ინფორმაციას სამეცნიერო/პროფესიული საქმიანობის შესახებ". აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათი და კომისიის წევრების ავტობიოგრაფიები. კომისიის წევრების უმეტესობა დასაქმებულია სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში და კომისიის ყველა წევრს უდასტურდება ინგლისური ენის ცოდნა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კომისიის წევრების შერჩევის კრიტერიუმები არ არის გათვალისწინებული აკადემიის მარეგულირებელი დოკუმენტაციით. მიზანშეწონილია გამჭვირვალობისთვის ასეთი კრიტერიუმების შემუშავება.

3. 2017 წლის 27 ივნისს გაიმართა საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა, სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ შეხვედრას საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდა მარია პოლიაკოვა-კაპანაძე, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად სხდომის ოქმზე ფიქსირდება მისი ხელმოწერა. ასევე, სხდომის ოქმში საუბარია 2017 წლის 24 მაისს სენატის მიერ დამტკიცებულ „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსის წესზე", სავარუდოდ ოქმში დაშვებულია შეცდომა, ვინაიდან აღნიშნული წესი დამტკიცებულია სენატის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით.

4. ყველაზე აქტუალურ საკითხად, რაც კონკურსის ლეგიტიმაციას აყენებს ეჭვქვეშ შესაძლებელია მივიჩნიოთ კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმების არ არსებობა. აკადემიის რექტორის 2018 წლის 26 იანვრის №17/208 წერილში მითითებულია, რომ კონკურსანტთა შერჩევის საკითხები რეგულირდება „აკადემიური პერსონალის შესარჩევად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესით" და სხვა დამატებითი კრიტერიუმები განსაზღვული არ არის. შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ კონკურსანტთა შერჩევა უნდა განხორციელებულიყო კონკურსის ჩატარების წესით განსაზღვრული მონაცემების შეფასების საფუძველზე. კერძოდ, კონკურსის ჩატარების წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტს მოეთხოვება წარმოადგინოს საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შედგენილი სილაბუსი კანდიდატის მიერ წარდგენილი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის და საკუთარი შეხედულებისამებრ, დარგის ან სასწავლო კურსის განხორციელების კონცეფცია, სამეცნიერო ჟურნალებში და/ან კრებულებში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არაუმეტეს 5 სამეცნიერო ნაშრომის წუსხა და არაუმეტეს 2 ნაშრომის ასლი კონკურსანტის შერჩევით, გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კონსპექტი, მეთოდური მითითება, პროგრამული პროდუქტი) ბეჭდური ან ელექტრონული სახით, აგრეთვე სხვა მონაცემები. ამავე წესის" მე-10 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად ანკეტა-განაცხადში მოცემულ ყველა მონაცემს საექსპერტო შეფასებას აძლევენ კომისიის მუშა ჯგუფის წარმომადგენლები. განხილვისა და საბოლოო შეფასების შედეგებს ეცნობა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. კონკურსის შედეგების საბოლოო განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება საკონკურსო კომისიის დასკვნით სხდომაზე, რომელიც გაიმართება რექტორის ბრძანებით დადგენილი თარიღის შესაბამისად."

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა აკადემიას არ წარმოუდგენია კომისიის წევრთა შეფასებები. ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტაციიდან არ იკვეთება, თუ რა პრინციპზე დაყრდნობით მოხდა კანდიდატთა შერჩევა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა 2017 წლის 11 და 17 ივლისის №7 და №8 ოქმები. ოქმებიდან ირკვევა, რომ კანდიდატთა შერჩევის პროცესში საკონკურო კომისიამ იხელმძღვანელა სტუდენტთა შეფასების ფორმებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე აკადემიის წესდებით, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ პირებსაც, რომლებიც არ იმყოფებიან შრომით ურთიერთობებში აკადემიასთან. ამიტომ, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე კონკურსანტის შეფასების შედეგების გამოყენება აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმად დაუშვებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ირღვევა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა კონკურსანტთა თანასწორობასთან დაკავშირებით. ის გარემოება, რომ ყველა კონკურსანტი აკადემიის ლექტორი იყო და ამიტომ თანასწორობის პრინციპი არ დარღვეულა, აქ არგუმენტად არ გამოდგება, ვინაიდან ზემოხსენებული საკანონმდებლო ნორმა მოითხოვს, აგრეთვე, კონკურსის გამჭვირვალობას და სამართლიანობას. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს შერჩევის კრიტერიუმების დადგენას და ყველა დაინტერესებული პირისათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას კონკურსის გამოცხადებისთანავე, როდესაც არ არის ცნობილი, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას კონკურსში გარე პირები.

ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2016 წლის 8 დეკემბერს აკადემიის სტუდენტებმა საჩივრით მიმართეს რექტორს. როგორც საჩივრიდან ირკვევა სტუდენტებს პრობლემები ჰქონდათ ანა თენიეშვილთან. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ პედაგოგი ლექციის მიმდინარეობისას სტუდენტებს აყენებდა პირად შეურაცხყოფას და უწმაწური სიტყვებით მიმართავდა. სამწუხაროდ სტუდენტთა საჩივარს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია (დასტურდება აკადემიის 2018 წლის 26 იანვრის 17/208 კორესპონდენციით). სტუდენტთა საჩივარს არ აქვს სარეგისტრაციო ნომერი. აღნიშნული გარემოება ეჭვქვეშ აყენებს გამართულ საქმისწარმოებას.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების" 5.1. ქვესტანდარტის თანახმად ,,დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, იხილავს სტუდენტების საჩივრებს აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით.". ამდენად, აკადემია ვალდებულია სამომავლოდ ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად სტუდენტთა საჩივრებზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების" 4.1. ქვესტანდარტის თანახმად ,,უსდ-ს შემუშავებული აქვს პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა)

გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას". ამდენად, აკადემიამ უნდა შეიმუშავოს გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება აკადემიური პერსონალის შერჩევა.

5. რექტორის მიერ დამტკიცებული „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესის" (ND2-O04) მე-10 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად „კონკურსის შედეგების საბოლოო განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება საკონკურსო კომისიის დასკვნითი სხდომაზე, რომელიც გაიმართება რექტორის ბრძანებით დადგენილი თარიღის შესაბამისად".

კონკურსის გამოცხადების თაობაზე რექტორის N1-57 ბრძანების მე-6 მუხლით კენჭისყრის ჩატარების თარიღად კი განისაზღვრა 2017 წლის 28 ივლისი.

მიუხედავად ამისა, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმიდან (N10) იოკვეა, რომ კენჭისყრა ჩატარდა 2017 წლის 21 ივლისს 28 ივლისის ნაცვლად. ამდენად, აკადემიამ დაარღვია შიდა მარეგულირებელი აქტი.

6. აკადემიის რექტორის 2018 წლის 26 იანვრის №17/208 წერილში მითითებულია, რომ „მოქალაქე ანა თენიეშვილმა გაიტანა საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შესაბამისად ვერ გიგზავნით აღნიშნულ დოკუმენტებს." თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ რექტორის მიერ დამტკიცებული „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესის" (ND2-O04) მე-10 მუხლის 28-ე პუნქტის თანახმად „კონკურსანტს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში." შესაბამისად, ამ კუთხით იკვეთება დარღვევა საქმისწარმოების ნაწილში.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ნინო ტალიაშვილი

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის წევრი:

ლევან მიდოდაშვილი

07.03.2018 წელი